ჩვენ, ქართველებს ნათესავები არა გვყავს დედამიწის ზურგზე. ეს ძალიან უცნაური მოვლენაა. ყოველი ხალხი რომელიმე ოჯახს, რომელიმე რასას ეკუთვნის. ყველას ჰყავს ან ძმა, ან ბიძაშვილი, ან შორეული მოკეთი. ინდოელები, სპარსელები, ქურთები ევროპელების შორიანლობილი ნათესავები არიან. გერმანელები, ინგლისელები, პოლანდელები, სკანდინავიელები ერთ ვიწრო ოჯახს შეადგენენ, მეორე ასეთი ოჯახი რომანელებია, მესამე სლავიანები.

ჩვენ რომელი რასას ვეკუთვართ? ეს არავინ იცის. ჩვენ არა ვართ ეთიოპები, უეჭველია. მაგრამ, თერთ კანის მიუხედავად, არც ინდო-ევროპელები ვართ, არც სემიტები. უდრემაოდ გაჩენილ, ციდა ჩამოვარდნილ არსებას ვგავართ. ჩვენი ენა საოცრად განსხვავდება ყველა ცნობილ ენასგან: თავისებურია მისი ლექსიკონიც, მისი სინტაქსიც, მისი ფონეტიკაც. და ენა ხომ სულის გარეგნული სახეა: მათხადაზე, თავისებურია ჩვენი ხასიათიც, ჩვენი მგრძობიარობა და აზროვნებაც.

რამდენიმე თაღიანი გვირახისა, რომელიც კიდევ არ კმარა რახიული ნათესაობის დასამტკიცებლად. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ერთი ჯერჯერობით მარტოდ-მარტო დგას, როგორც ცოცხალი ნიშანი უცნობი, გარდასული რახისა, რომელიც შეიძლება სადღე შორეულ საფლავებში სოვდებდეს. მაგრამ ვანა ცოცხალ არსებას შეუძლია უთვისტომოდ ყოფნა? მთელი ჩვენი ისტორია სულიერი ნათესავის ძიებაა, ძნელად მოიპოვება ერი, რომელიც ასე მოტუე-ბულიყო თავის საუკეთესო იმედებში.

დღესდაც შუამდინარეთში გვიცხოვრია და ტარგორის თუ ევფრატის ტალღების მხა მოგვისმენია. უხვად გავიხვავს ხამრეთის ცხოველი შუე და უდაბნოების სუნთქვა გვიყნობია. მაგრამ იქიდან ძლიერმა და მრავალრიცხოვანმა შეზობლებმა გამოგვკრეგეს. არ დაგვტოვებს არც კაადოკის ხევეში, არც მცირე აზიის მაღლობებზე. და თუ დღემდე ჩვენს ახლანდელ სამშობლოს შევჩინო, ეს ალბათ, იმის ბრალია, რომ მეტი ვასაქანი აღარ გვქონდა: ჩრდილოეთით გარდაუვალი მთები გვეკრა, დასავლეთით ზღვა, ხამრეთ-ალმოსავლითი კი მტრით დასახლებული ადგილები ან ერთფეროვანი უდაბნოები.

უფრო ახლაზარდანი ხდებოდნენ, უფრო მხობილნი: კუნთების ძალადაც იძინდნენ და სულის მოქნილობასაც. თითქო ჩვენი ცხრათვალა შუე ანობდა მათ მელანქოლიას, თითქო ჩვენი ცოცხალი ნიშანი ხიმუბუქებს აძლევდა. ქუთაისის ტაძრის ბიზანტიელმა ოსტატებმა შეამკეს და კივებს წინდა სოფია და ლავრა: ერთმა და იმავე იმპერატორმა გამოუქვანა კონსტანტინეპოლიდან ხუროთმოძღვრები ბაგრატ მეოთხე და იაროსლავს. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და რუსულ ძეგლებს შორის! კივებს ეკლესიები სულმოკლე შელებია ბიზანტიური ნიმუშებისა. მათი ფხადები უხასურია, მათი კორპუსები ტლანქი და დამძიმებული. მათ აკლიათ სიდაიდე სიდიდის მიუხედავად. ბაგრატის ტაძარი, პირიქით, განუყოფელია. მისი პროპორციები ზომიერი და კეთილშობილია, მისი კონტურები ელევანტური და გრანდიოზული. ბიზანტიელებს ბრმად არც მხატვრობასა და ქანდაკებაში ვბაძვდით. მათ მოზაიკა უყვარდათ, რადგანაც მოთინების ადამიანები იყვნენ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, რადგან მეტი ემოცია და ფანტაზია გვქონდა. ჩვენი შენობის კედლებზე ნაკლები ადგილი ჰქონდა გამხდარ, დაგრძელებულ და გაშეშებულ წმინდანებს. ვანა ბეთანიის ან ტიმოთესუნის ფრესკები ბიზანტიური ნიმუშების ასლები არიან? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი გულუბრყვილობის და შეუგნებელი სიბრძნის გამოჩენა? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი სულიერი სიცოცხლის და მოძრობის გადმოცემა? მხოლოდ ქართველს შეეძლო ასეთი სიყვარული და ყურადღებით თევზებისა, ფრინველებისა და ცხოველების გამოხასხვა ნეტარ და ტანჯულ ადამიანთა გვერდით.

ბიზანტიელების განუენებული ბუნება ადვილად შეურთვდა ხატების მებრძოლ იმპერატორების დეკრეტებს: იმათ შეეძლოთ თავიანი ეცათ ახსტრაქტული სულისთვის. ჩვენ არახოლეს არ ყოფილვართ ხატების მებრძოლნი. ჩვენ გვხურდა ჩვენი დემრტები თვალთ დაგვენახა, მათი ადამიანური სიხალღე. გულით გვეგრძნო. ჩვენს ფანტაზიას ხშირად სწევდნენ ადმოსავლეთური ხილვანი. სვეტების თავებზე ხშირად ვჭრდით არახებს, ფსკუნჭებს, მტრელებს, რომელნიც ნიხარტით ერთიმორებს ელურებოდნენ. ვეფხვებს თუ ავაზებს, რომელნიც ირმებს ბრძვიან, და გრიფებს, რომელთაც კლანჭებში გველვით უჭირავთ. მაგრამ ჩვენ მაინც არც აღმოსავლეთის ღვიძლ შეილება ჩავთვლებით.

დადასტურებას აღიარებდა. თუმცა, ჩვენი მეზობლები იყვნენ, მაგრამ არახოლეს სულიერი ნათესაობა არ გვიგრძნია ამ ხალხთან. როგორც სისხლმომწურებული მტერი, ისე შევიგრძობდით მათ სამფლობლოში, შეგნებ მივდიოდით, როგორც ირანის მბრძანებლის მოხარკენი. მაგრამ გულწრფელად არახოლეს არ გადავხვივართ.

დროგამოშვებით ჩვენში შორეულ ქვეყნებთან უცხოელები მოდიოდნენ და სახად რჩებოდნენ ჩვენი დიდებული ნათესავის წინაშე. ჩვენი ბედნიერი დღეები მათ არ ენახათ: არ იცოდნენ, რომ ერთ დროს დიდი თავისებური კულტურა გვექონდა, რომელიც საშინელმა კატასტროფამ ხნათქა. ამიტომ ჩვენს მიწაწაქალღ ყველაფერი სასწაულად ეჩვენებოდათ. მათ ეუცხოებოდათ ყველაფერი, რაც კი საშუალო ზომის სცილებოდა და მალად ნიჭის ან ადრთოვანების ბეჭედს ატარებდა. დიუბუა დე მონპერეს უკერდა, რომ საფარის ბარელიეფები ქართველმა ერმა შექმნა, კონდაკოვი ამ პლასტიკურ ნაწარმოებებს ბიზანტიელებს აწერდა. მაგრამ ამ გზით უნდა უარ გვეყო რაც კი რამ დიადი და ორიგინალურია ქართულ ხელოვნებაში: საიკლესიო ხუროთმოძღვრება და ჩუქურთმების დეკორაცია, მინაქრობა და ოქრომჭედლობა, ფრესკების და მინიატურების მხატვრობა, ბეჭა და ბეჭენ ოპიზარტა პირვენება.

მდიდრები ვიყავით ერთ დროს და ბოვანობდა ვიქციით ბოლოს. მაგრამ არისტოკრატიული სული მანც შეგვჩა. შეგვჩა პროფილის სიწმინდე და მისრა-მოსხის კეთილშობილებაც. ბევრს ესეც ეუცხოებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოს შარდენი ეწვია და აღმოაჩინა, რომ ჩვენ უფლები და უწილურები ხალხი ვართ დედამიწის ზურგზე; ჩვენი სილი უგემურად სცნო და ჩვენი ქალები უწნო. მაგრამ ჩვენმა სილაზაში ისიც მოხილია. მისთვის ამოცანად დარჩა, როგორ შე-

რა ქართველ ტომს ასეთი შნო და მიმზიდველობა... ეს შეიძლება მართლაც განაკვირავდეს იუმს. ჩვენ ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში უსაშინესეს ხარკს ვაძლევდით სპარსეთის შახს და ოსმალეთის ხონთქარს. ეს ხარკი სწორედ შარდენის დროს იყო უმძიმესი. ჩვენმა ლამაზმა ქალ-ვაჟებმა გააკეთებლად წინააღიწი და ბაღბარისხოვანი რახები. ჩვენ კი თუმცა დავაბუნდით და დავკვირდით, ხავსებით მაინც არ დავკარგავს სხეულის ელასტიური ძალა.


ჩვენი კულტურა არასოდეს არ ყოფილა ვიწროდ ცენტრალიზებული; არასოდეს არ გვექონია ქართული პაროზი ან მოსკოვი. ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველ პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველ ხევას თუ მაღლობს ტაძარი ან ციხე-კოშკი ამშვენებდა. ხალხი არ იყო დამორბეული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო, უფრო ხალხობისური იყო. ამიტომ არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ კალაპოტში.

რუსობისთვის უცნობია ჩვენი მძაფრი სუბიექტივიზმი. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ძველი სლავიანები თავებს სჭირდნენ თავიანთი გამარჯვებულ სარდლებს: ვერ ურიგდებოდნენ ინდივიდუალობას, რომელიც საშუალო ზომის სცილდებოდა. ეს მიწრაფება ერთხანებისა და ერთფეროვნებისადმი შემდეგშიც შერჩათ რუსებს. ივანე მრისხანემ ძირიანად მოსრნა საბრძოლო ნოვგოროდი, რომელსაც ის ერთადერთი დანაშაული მიუძღოდა, რომ მოსკოვს არა ჰგავდა. ბიუროკრატიული წესწყობილება, წაწოვადობის მილიტარიზაცია, გამარჯვებელი პოლიტიკა გარეგნულად გამოხატულა და უნივერსალური, გამათანასურებელი მისწრაფებისა.

ვერსოდეს ვერ შევედგებით ამ თავისებურ ევალტარიზმსა და ცენტრალიზმს. ვერც ჩვენი მეზობლები შეურიგდებიან ჩვენს სუბიექტივიზმს. ამიტომ სულიერად ყოველთვის უცხო დავარჩებით ერთმეორისათვის. ეს ჩვენი ბედი თუ უბედობაა. ჩვენი წინარები იმაში ხედავდნენ ნუგუშს, რომ ჩვენც მართლმადიდებლები ვართ მათხავით. მაგრამ რარიც განსხვავდება თვით ჩვენი შემეცნება საერწმუნოებისა ჩვენთვის უმოკრესი მნიშვნელობა ყოველთვის პირად განცდას ჰქონდა, იმათთვის — ზოგად დოგმებს. ჩვენში არასოდეს ყოფილა მწვალებლობა ან რასკოლი: არასოდეს გვიბრძოლია იმისთვის, თუ როგორ უნდა დაიწეროს იესოს სახელი, რამდენი თითით უნდა გამოვიხატოთ პირველი ან ეკლესიას გარს როგორ უნდა შემოვუაროთ. იმათი არასოდეს ყოფილა სინდისის თავისუფლება: არასოდეს შეირგებიათ იმ აზრს, რომ სარწმუნოება პირად აღმადგინაში მდგომარეობს და არა ხანდაზმული ცერემონიალიზმი. ჩვენ გვყავდა გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელნი, ეფრემ მცირე და ანტონ ჭყონდიდელი, იმათ ჰყავდათ პატრიარქი ნიკონი.

ცნობილია, რომ იოანე მთაწმინდელი იბერიის ნახევარკუნძულზე გაემგზავრა, ეგონა, რომ იქ ქართველების მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ახლა კარგად ვიცით, რომ ჩვენი საეკლესიო მოღვაწე ცდებოდა და ესპანელებს ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო: მაგრამ ახლა ისიც ვიცით, რომ ნათესავენი სრულიად არა გვავსდნენ დედამიწის შურსზე. ამიტომ, ახლა კიდევ უფრო განმარტობული ვართ, ვიდრე საშუალო საუკუნეებში ვუყავით, მაშინ ილუზიები მაინც გვქონდა.

თბილისი, 1915 წელი.



1.8 ოქტომბერი

საკონსულაციო განხილვა რესპუბლიკებში — საბჭოთა კავშირის დეცენტრალიზაციისთან დაკავშირებით, ამ საკითხს განიხილავს აშშ ადმინისტრაცია.

პრეზიდენტისთვის ახალი უფლებების მიწვევა და საბჭოთა ეკონომიკაზე გადახვევა „ბერკსტროიკა“ აღარ არის, კვეყანაში იწყება ახალი რამ. „ნიუ იორკ ტაიმსის“ მიხედვით, გორბაჩოვის ეპოქა დასასრულს უახლოვდება.

სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარება შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო ომად. ვიდრე, ხადამ მუსხინი არ მიხვდება, რომ იგი მსოფლიოს წინააღმდეგ არის და მსოფლიო მის წინააღმდეგაა, ძნელია, დაიწყოს მოლაპარაკება, ვიცილიზებული სამყარო აღაშფოთა ერასის ბარბაროსულმა თავდასხმამ კუვიტზე. ათასობით ერაყელი დახვრიტეს პოლიტიკური და რელიგიური საფუძველზე. თავის კვეყანაში მუსხინმა გამოიყენა შხა-მინი გაშიქრების წინააღმდეგ. აშშ პრეზიდენტი გამოთქვა ამს რწმენას, რომ კონფორტაცია მშვიდობიანი გზით გადაიკრება. მუსხინი უნდა მიხვდეს, რომ აღარ დირს კუვიტში დარჩენა. ყველა მშვიდობიან მოლაპარაკებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ, ომს მაინც სჯობია.

ორშაბათს, კიევისა და უკრაინის სხვა ქალაქებში მოხდა დიდი გაფიცვები. კიევში გაფიცვა ოქტომბრის მოედანზე დაიწყო, მოწვეული იყო 30 000-ზე მეტი უკრაინელი, შემდეგ პარლამენტისკენ დაიძრა ხალხი დღეგრძეობით: „თავისუფლება უკრაინას“. აქ ახსოვთ, ლენინის სიტყვები: უკრაინის დაკარგვას, თავის დაკარგვა გვირჩევნიაო. მილიციამ უწინაგის საბჭოთა შენობაში პეტციის გადასაცემად გაატარა დელიგაცია. ძირითადი მოთხოვნები: დაიხსროს ჩერნობილის ატომური სადგური; დაჩქარდეს ეკონომიკური რეფორმები; ვისაც უკრაინაში სურს ცხოვრება — კეთილი ინებოს და ვახდეს უკრაინელი. დაიწყო სასწავლო წელი — ბავშვებს ვერ გაუგიათ, რატომ აიღეს ლენინის ძეგლები, ჩამოსხნეს ილიჩის პორტრეტები, და ეკითხებოდნენ მასწავლებლებს. ზოგი მასწავლებელი მოუწოდებს, (ოდესღელი მასწავლებლების წერილიდან), გაკვეთილი დაიწყო ამ სიტყვებით: ხელით შორს ლენინისაგან!

ამერიკელი კორესპონდენტი დ. დოლარი თავის წიგნში — „გორბაჩოვი — ერთიანი კრემლი“ ამაბობს: სიტყვით იგი ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობს, სიტყვების მიღმა კი მხოლოდ ძალაუფლებას ხედავს.

დღემდე ისე ვიცოდით, რომ კაპიტალიზმის კვეყნებში ადგილი ჰქონდა ლაპარაკს, თქვენ იმ ალბანელებმა, რომლებმაც დატოვეს სამშობლო. სოციალისტური ალბანეთის ცხოვრებაში პირველად

„თავისუფლებაში“ „ამერიკის სმის“ რადიოგადაცემებიდან

მოხდა, რომ მოავრობამ ნება დართო თავის ხალხს, დაეკრებინა კვეყანა. ალბანეთში შეუძლებელია კეშმარტივების გაგება, იგი ყველაზე დახურული კვეყანაა და ეს ხდება — ევროპაში.

ერთი საუკუნის დასასრული მეორისას ჰგავს. იმპერიების მსხვერვა თუ სექსუალური ეპიდემიები და ა. შ. ელენ შოლოტერი 2550 გვერდიან საინტერესო წიგნში (თავისი ხასიათით იგი უფრო ესხეა, ვიდრე მეცნიერული ნაშრომი). „სექსუალური ანარქია“, ამბობს, რომ შიდა ამ ეპოქის დაავადებაა, და ეს მხოლოდ მამაკაცსა და ქალს კი არა, თვით ერთხესაც კი ეხებაო.

ვან გოგის სურათებში კარბობს ყვეთელი ფერი, ვან გოგმა თავი მოიკლა 37 წლის ასაკში. ჰქონდა ეპილეფსია. შაგენის ნაკლებობა, კატარაქტა... ელ გრეკოს ნახატებში წარმოდგენილი ფიგურები; კამილ კოროს ერთ სურათში ქალიშვილის დაკრუნხული ხელია გამოსახული, ისეთი, როგორც თვით შხატარს ჰქონდა, მაგრამ: არც შაგენის ნაკლებობის გამოა ვან გოგის სურათებში კარბი ყვეთელი ფერი, არც ანტიგმატის გამოა ელ გრეკოსთან წარმოდგენილი ფიგურები და არც კოროს ავადმყოფობაა მიზეზი — როგორც ამაზე ბევრი მედიკოსი შენიშნავდა, — არამედ, შხატარის ნიჭის თავისებურების გამოა ასე.

ბერლინის კედლის აღების შემდეგ, 3 ოქტომბერი კიდევ უფრო ამაღლებული დღე იყო გერმანელებსთვის. 0 საათსა და 00 წუთზე დაიწყო წიგნი — დამთავრდა 45-წლიანი კონფორტაცია, გერმანია გაერთიანდა. ეს დღე, ამავ დროს, იყო აღმოსავლეთ გერმანიის — როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს — უკანასკნელი დღეც. შუალაშეს დაიწყო წარების რეკვი; ბერლინში თავი მოიყარა 3 000-ზე მეტმა უცხოელმა უკრაინელიც. ფლავსტოკე აღმართული ევროპის დროშა სიმბოლოა — გერმანიის გაერთიანებას გაერთიანებასაც მოახწავებს. ბევრი გერმანელი ტიროდა სინარულით.

პაპი იოანე პავლე II მიხსალმა გერმანელ ხალხს: ტკივილით ხავსე წლების მერე, მადლობა დმერთს, შეხაძლებელი ვახდა გაერთიანება.

„ფაინსლ ტაიმი“: „გერმანიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს: შიშისა ერთიანი გერმანიის მხრივ. გერმანიის მიერ ატომურ და ქიმიურ იარაღზე უარის თქმა, ევროპაში წესრიგის დამყარების საფუძველს ქმნის. რაც მთავარია, ეს გაერთიანება არავისთვის მოუხვევიათ თავს, იგი შეთანხმებით და მშვიდობით მოხდა.

გაფიქსირდა ცოტა ხანი და ბერლინი — თავისი ტრადიციებით, ახალი არქიტექტურით, ძლიერ-

ბითა და სილამაზით უმშვენიერესი ქალაქი იქნება მსოფლიოში და შეხადლოა — აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის დედაქალაქიც.

რაკი ევროპამ სახე იცვალა, ამ კონტინენტის სამხედრო სახეც უნდა შეიცვალოს. საქმე ეხება იარაღის განადგურებას. როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ლერნერმა განაცხადა, გერმანიის გაერთიანებით ახალი ერა დაიწყო მთელი კონტინენტისთვის.

საბჭოთა ლიდერი უბრალოდ — მანევრირებს. იგი მხოლოდ სიტყვით სცემს პატივს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს. პრეზიდენტმა გამოცხადა ახალი კანონი — მომდევნო 15 თვის მანძილზე წარმოება-დაწებებულბათა გეგმების შესახებ. კვლავ მოითხოვდა რიგების გადაყენებას. ელენმა ბრძოლის ამ ეტაპზე გაჩუმება არჩია, ან იქნებ 15 ოქტომბერს ელოდება — თუმცა, შეიძლება ეს მისი ავადმყოფობის ბრალიც იყოს — ავტოკატასტროფის შემდგომ პრილომა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ.

10 ოქტომბერს სრულდება ისრაელის ქართული ჟურნალის — „დროშის“ 10 წლისთავი. „თავისუფლების“ კორესპონდენტი ი. გავაშელი ესაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორს ხაიმ სუბელაშვილს. იგი აღნიშნავს, რომ ჟურნალის გამოცემის ათი წლის შემდეგ (იპერის თეატრში) მოწვეულ სტუმრებთან ერთად, იქნება დელიგაცია საქართველოდან. მათ შორის: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუსხანა მაჭავარიანი, მწერალთა კავშირის მდივანი აურამ ფანჯიქიძე, „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჭავჭავაძე, თეატრალური მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, „სამშობლოს“ მთავარი რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი, „დროშის“ მთავარი რედაქტორი ითარ ქინქლაძე... სულ 24 კაცი, ცნობილი მწერლები და საზოგადოლო მოღვაწეები; ჟურნალის 10 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემილი „მერანისა“ და დავით აღმაშენებლის საზოგადოების თაოსნობით გამოიცემა აღმანახი. თელ-ავივი გამართული ფოტოგამოფენის შესახებ — „საქართველო არც ისე შორსაა“, ადრევე ელაპარაკეთ საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს. მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ტელევიზიის დროული ორგანიზაციისთვის. რედაქციას კავშირი აქვს საფრანგეთში — გ. წერეთლის ჟურნალთან „გუშუაგე“ და ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპულ ინსტიტუტთან, რომელსაც ჯ. კაშია უდგას სათავეში;

და ცხადია, კავშირი გვაქვს საქართველოსთან.

ისრაელში დაიწვეს აირწინაღების დარეგება ხალხისთვის, მაგრამ, როგორც ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, ეს არ ნიშნავს, რომ შეიქმნა საგანგაშო ვითარება.

შიდის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინა, რომელიც ამერიკელმა ვერენ ვოლოვეცმა გამოიგონა, ამჟამად კლინიკური გამოცდის ბოლო სტადიაზეა (ადრე ვექმნილი ვაქცინა არ იყო ძალიან ეფექტური). ამ ათწლეულის ბოლოს იგი უკვე გამოვა ბაზარზე, მაგრამ, შეხადლოა ორი წლის მერეც დაიწყოს მისი ხმარება — გაუკეთდეს როგორც ინფიცირებულებს, ისე ქანზირთელ ადამიანებს.

ლიტვის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ლატვია პატარა კვეყანაა, მაგრამ არც ისე სუსტი; საბჭოთა კავშირი დიდია, მაგრამ შიშის ხიდელი მის სიძლიერეს არ შეესაბამება. მოლაპარაკება ლიტვასა და კრემლს შორის ფაქტობრივად დასაწყისია იმისა, თუ როგორ წარინათება ურთიერთობა სხვა რესპუბლიკებთან.

ვინ დალუბა საბჭოთა იმპერია? ამ კითხვას დედოსტატი გ. კასპაროვი კითხვითვე უპასუხებს: გორბაჩოვმა? და იქვე პასუხობს: მას ეს აზრადაც არ ჰქონია. უბრალოდ, მან ვერ შეაფასა ეროვნული მოძრაობები. მას სურდა, მომავლადი კომუნისტური რეჟიმის გადაყენება მშართველობის ახალ ფორმებში. დასავლეთში ძალიან სჭირდებოდა მისი და არავის სურდა ჩვენი მოსმენა. მე მომიხსენეს, ალბათ იმიტომ, რომ ჩემსათვის ვარ.

კორესპონდენტი: — მაგრამ გორბაჩოვმა უველაფერი გააკეთა სსრკ-ს დასანგრევად. — პირიქით, ყველაფერი გააკეთა მისი განმტკიცებისთვის...

ხადამ მუსხინის მოწოდება — მთელი მსოფლიოს მაშადიანებმა ბრძოლაში მხარი დაუჭირონ მას — ნოყიერ ნიადაგზე ეცემა. მაშადიანური სამყარო ურწმუნო ვგაროსნებთან მეტროლოდ მიიჩნევს მუსხინს...

ომის დროსაც ხომ სტალინმა ბოლშევიკურ ათიეზს შურგი აქცია და ლმერთს შეევედრა — გაემარჯვა საბჭოთა არმიას. მთელ კვეყანაში გაისმა მათი წირვალოცვა ეკლესიებში.

ახალი რელიგიური კანონით, საბჭოთა კავშირში შესაძლებელია სკოლებში ასწავლონ რელიგია, ჩატარდეს ახალი საეკლესიო კრებები... გორბაჩოვი, რომელიც აცხადებს, რომ თვითონ არ არის მოწმუნე, ახალი კანონით ბევრ დაპირებას იძლევა.

ქვირფასო გკითხველო!

მთარგმნელობითი ლიტერატურის ჟურნალი „საუნჯე“ არამარტო, ქართული მწერლობის, არამედ მთელი ქართული კულტურის დიდი მონაპოვარია.

1991 წლიდან თითოეული მინი ნომრის ფასი ორი მანეთი იქნება. სამაგიეროდ, გენიალურ ავტორთა შედეგები, რომლებიც უკრაინაში იბეჭდება, უახლეს დროში გამოცემის რეკვი კლასიკური, ისე თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ ენებისტური აზროვნების ნიმუშებს.

ჟურნალი წელიწადში გამოდის ექვსჯერ.



მისი წლიური ფასია 12 მანეთი. გთხოვთ, არ დაავიანოთ „საუნჯის“ გამოცემა.

მხრნალ „საუნჯის“ რედაქციას.

სიტყვა — სული გასუნარსი



აკაკი

მხატვარი კოკი მახარაძე

გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წ. ქ. ბრესლაუში. საქართველოში დაინტერესებულმა შეისწავლა ქართული ენა. ღიმი მეგობრობა აკავშირებდა ნ. ნიკოლაძესთან, დ. ერისთავთან, ი. ჯავახიშვილს და სხვა ქართველ მოღვაწეებთან. 1884 წ. ა. ლაისტი პირველად ეწვია საქართველოს. ერთი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს გერმანულ ენაზე. 1892 წლიდან იგი საქართველოში მკვიდრდება და აქტიურ მონაწილეობას უწევს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თბილისში აარსებს გერმანულ გაზეთს, აქვეყნებს ნაშრომს „ქართველი ხალხი“ და თხზულებათა კრებულს „საქართველოს გული“. არტურ ლაისტი გარდაიცვალა თბილისში, 1927 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკი წერეთლის ფონდში დაცულია არტურ ლაისტის ორი ფრანგულენოვანი წერილი აკაკისადმი. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მათი გაცნობა.

მოსკოვი, 5 თებერვალი, 1888 ჩემო თავადო,

გუშინ გამოვიგზავნე Magazine für die Literatur-ის ნომერი, ალბათ უკვე მიიღებდით. ეს გახლავთ ჩემი პირველი ნაბიჯი ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. თუ სტატია მოკლე და არაზუსტია, ეს იმიტომ, რომ თქვენთან თანამშრომლობის გარეშე ზოგი დეტალი ვერ მოვიპოვე. მერიტება კიდევ ერთხელ გთხოვთ თქვენი რამდენიმე ლექსის გამოგზავნა, მაგრამ ვიმედოვნებ, თქვენი სიკეთის წყალობით ერთ მშვენიერ დღეს ოცნება ამხნებდა. თუ შეიძლება გაზეთ „Ильмена“-ს რამდენიმე ნომერიც გამოვიგზავნეთ. ამ სიტყვას რუსულად ვწერ, რადგან ქართულად წერა არ ვიცი, მაგრამ, ნუ ფიქრობთ, ღრმად პატივცემული თავადო, რომ ქართული ენა უცნაო ჩემთვის. არა, ყოველ საღამოს თითო საათს ვეცადინებ. რადგან ენებს ადვილად ვითვისებ და ექვს ევროპულ ენაზე ვლაპარაკობ, ქართულშიაც წარმატებას ვივადწევ.

ეს სტატია მივუძღვენი ქართული ხულის ყვავილებს. თუ შეიძლება, მომანიჭეთ სიამოვნება, ვიგრძნო ქართული ბუნების სურნელი და

თქვენს ბართთან ერთად გამოვიგზავნეთ რამდენიმე ია თქვენი მშვენიერი ხალიდან.

გული ხავსე მავსე თქვენი ქვეყნის მიმართ გრძობებით. გაუგონარ ნიაშოვნებას მგვრის ყოველივე, რაც თქვენთან ხდება. ჩემო თავადო, მიგულეთ თქვენს ერთგულად.

არტურ ლაისტი.
ჩემი ახალი მისამართია: ვოლინის გუბერნია — ზოლოტუროვო-მილანო. არტურ ადოლფის ძე ლაისტი.

კამენაკა, 1882 წლის 24 იანვარი, ვოლინის გუბერნია, კოსტოვი.
ჩემო თავადო.

ბატონმა თავადმა დავით ერისთავმა ინება თქვენი მისამართი ეცნობინა ჩემთვის. სიამოვნებით ვსარგებლობ ამით, რათა დახმარება გთხოვოთ თქვენს მშვენიერ სამშობლოსთან დაკავშირებულ ზოგი ლიტერატურულ საკითხში. უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ მომიტყუოთ ჩემი სითამამე და მოტყუების იმედით ზოგადად გაგაცნობთ ჩემს საქმიანობას.

ერთი ხანა დიდის ინტერესითა და სიამოვნებით ვადევნებ თვალს თქვენს თანამემამულეთა განმანათლებლურ მოძრაობას, ნაწილობრივ გავცანი თქვენს ისტორიასა და დღევანდელ შეცადინებას, ღირსეული ადგილი მოუძებნით თქვენს რაინდულ ერს დასავლეთის ერებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს, ანუ გრუზიას, გააჩნია ბევრი რამ, რითაც შეუძლია დაინტერესოს ჩვენი საზოგადოება და გააცნოს მან საკუთარი თავი. მე მწერალი ვხლავარ, ვწერ გერმანულსა და პოლონურ ენებზე, მსურს ინტელექტუალური კავშირები დავამყარო თქვენს თანამემამულეებსა და ამ ორ ერს შორის. ამისათვის მინდა ჩვენს საზოგადოებას გავაცნო თქვენი შინაური ცხოვრების ამსახველი, ეროვნული და ისტორიული ხასიათის სურათები, ვთარგმნო ის ქართული ლექსები და თხზულებები, რომლებიც ქვეშაირთად აირეგლავენ ქართულ ხულს, მის დამახასიათებელ თვისებებს და საერთოდ, თქვენი ერის ცივილიზაციის შესახებ. ამისათვის მაკლია განსაღებო — ქართული ენის ცოდნა. თუმცა, უკვე დავიწყე მისი შესწავლა, ვფიქრობ, იმის ღონისძი, რომ კარგად დავუფიქრო და ორიგინალში წავიკითხო ქართული თხზულებები, დაგვიანებს ჩემს საქმეს. ამიტომაც, გავხედვ

წვეკობლო არსებობს თუ არა იმ ქართული თხზულებების რუსული თარგმანები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებას იმსახურებენ. ჩემო თავადო, ბევრი ხოტბა წამიკითხავთ თქვენი კომედიების შესახებ. იქნებ რომელიმე მათგანი ერთ-ერთ ზემოხსენებულ ენას მიესადაგოს. გთხოვთ მომანიჭოთ სიამოვნება და გამოვიგზავნოთ თქვენი რომელიმე თხზულების ან ლექსის პროზაული თარგმანი რუსულ ენაზე, მე სიამოვნებით გავლექსავ მათ. თუ შესაფერი არ გამოვა, პროზაულად გამოვკვეყნებ გერმანულ ან პოლონურ ენაზე. გთხოვთ თქვენს თანამემამულეთა დამახასიათებელი თვისებების ამსახველი თხზულება შეარჩიოთ. ბევრი რამ მსმენია თავად ორბელიანის ლექსებზე, მათი ქართული ორიგინალიც ვამჩნია, მაგრამ რადგან ქართული არ ვიცი, იძულებული ვარ გთხოვოთ ჩემი მათგანის რუსული პროზაული თარგმანი გამოვიგზავნოთ, ეს საქმეს გაშიადვილებს.

ჩემო თავადო, კიდევ ერთხელ გთხოვთ მომიტყუოთ ეს სითამამე. ვფიქრობ, ჩემი საქმე ისეთ დიდებულ და ამაღლებულ სფეროს ეხება, რომ დიდხლოვნად მომიტყუვებთ კადნიერებას.

ამჟამად ვმუშაობ ტრაგედიაზე, რომლის თემაც თქვენი ისტორიდან ავიღე. რუსთაველი სიყვარულს უშხედს თამარ მეფეს. დედოფალი იძულებულია თავისი წარმომავლობის ბედისწერას დაემორჩილოს და ვიორგისთან იქორწინოს. რუსთაველი ებრძვის უიღბლო გრძობას. შავთელი და რამდენიმე დიდებული კაცობრობის ქვეშაირთ უფლებებისათვის მებრძოლ პროგრესულ პიროვნებებს წარმოადგენენ. ამ საქმეში ისინი რამდენიმე ერისთავისა და მათ თანამებრძოლთა წინააღმდეგობას ებრძვიან. მათ პირადი ინტერესი და გამორჩენა უფრო ძვირად უღირთ, ვიდრე ქვეშაირთ პროგრესისთვის ბრძოლა. ვიორგისა და დავით სოსლანს შორის ომის დროს რუსთაველს მისი მტრები აპატიმრებენ და სხვა ქალაქში გადაამალავენ. რუსთაველის გაქრობა ძალზედ აწუხებს თამარს, რომელსაც ფართულად უყვარს პოეტო. დედოფალი ვერ იგებს მის იძულებით ადგილსამყოფელს. რუსთაველს კარგად ესმის, რომ მისი მტრების სიძულვილის მიზეზი დედოფლის მისდამი განწყობაა. გათავისუფლებული შემდეგ სამშობლოდან მიემგზავრება, რათა ქვეყანას აარიდოს მისი მიზეზით გამოწვეული შეხამლო ომები. როცა თამარი ამ გადაწყვეტილებას შეიტყობს, თავს იკლავს. რუსთაველი გზაში იგებს ამას, ნანობს განშორებას და თავს იკლავს იქ, სადაც მშვენიერი დედოფალი სიცოცხლის გამოცდილმა. როგორც ხედავთ, თავადო, ჩემი მომავალი ტრაგედიის შინაარსი ძალიანობს ისტორიულ სინამდვილეს. დეტალები იმისათვის შევცვალე, რომ ამბავი დრამატულ ბუნებას მივუხადავო და თანამედროვე ფილოსოფიური პრინციპების შესახებ მისი ეთიკური ელემენტები შევიტარე მისში.

ამ მოკლე ცნობით ვასრულებ ჩემს დღევანდელ ბარათს და ვიმედოვნებ, რომ კვლავაც ხშირად მომიტყუა შემთხვევა გესაუბროთ ისეთ სასიამოვნო და ამაღლებულ საკითხზე, როგორცია ლიტერატურა და თქვენი სახელოვანი, რაინდული ერის წარსული.

თუ ხელს არაფერი შემიშლის, აგვისტოში კავკასიაში ჩამოვალ, რათა ახლოს გავიცნო თქვენი ლამაზი სამშობლო და შევგავროვო მასალა, რომლებიც შეიძლება ჩემი სამუშაოსთვის დამჭირდეს.

გთხოვთ, მომიტყუოთ, თავადო და მიიღოთ ჩემი უარსებობის პატივისცემა.

არტურ ლაისტი
ჩემი მისამართია: არტურ ადოლფის ძე ლაისტი. ვოლინის გუბერნია, კოსტოვი, კამენაკა.

P.S. რადგან ჩვენს ფოსტებში წერილები ხშირად იკარგება, ეგებ ჩემსავით დასდევული წერილი გამოვიგზავნოთ.

ფრანგულიდან თარგმანა
G. ბიგილიძის მიერ

სიტყვა აკაკის ბარდაცვალების ბაშო თამაშული პართული ბიშნაზის ტაპარში

ბატარებო! ყველა თქვენგანს რამდენიმე მასწავლებელი ჰყოლია: ერთი განწავლიდათ წერა-კითხვას, მეორე — ანგარიშს, მესამე — ხალხთა ზეგულს, მეოთხე — კიდევ რომელსაზე სხვა საგანს. სკოლაში მყოფ მასწავლებელთა გარდა ჩვენ გვეყვანან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც გავსწავლიან სამშობლოს სიყვარულს, მისი პირისა და ღონის განწავლიებას, მისი განათლებისა, განსწავლისა და აყვავებისათვის ზრუნვასა და შრომას...

ამგვარ მასწავლებელთა შორის უპირველესი ადგილი ეკისრა ჩვენში იმ დიდებულს მოხუცს, რომელიც თითქმის ყველას თქვენგანს საკუთარის თვალთ ვინახავთ და რომელსაცა აკაკი ერქვა: მისი საუცხოო ლექსები თქვენ ზოგი გისწავლიათ; ზოგი წავიკითხავთ და იცით, თუ ვინ იყო აკაკი. ვამბობ, იყო მეთქი მისთვის, რომ აკაკი დღეს ცოცხალი აღარ არის: ის მიიცვალა ამა თვის 28. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სული ჩააბარეს უფალს დიდებულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა და სულმნათმა გაბრიელ ეპისკოპოსმა.

ვინაიდან შეუცთომელი და უცოდველი არავინ არის ქვეყანაზე, შევედროთ უფალს, შეუნდოს ჩვენს დიდებულ მასწავლებელს აკაკის ყოველი შეცოდება, რომე-

ლიც მას ჩაუდენია სიტყვით თუ საქმით, ნებით თუ უნებურად, ცოდნით თუ უცოდინარობით და არ მოაკლეს ჩვენს ედემის მსგავს სამშობლოს აკაკისთანა მასწავლებლებში ამაინ.

1915. I. 28

სიტყვა აკაკის ბარდაცვალების ბაშო დედის საღმობას ნუ დაივიწყებ (ი. ზირაძე 7,29)

პირბანებს უფალი და ეს სიტყვა დიდებულ მამულიშვილს აკაკის გულის ფიცარზედ ჰქონდა აღბეჭდილი...

თითქმის სამოცი წლის განმავლობაში იგი „მალაშოს“ ხდებდა დედის საღმობას და აღვიძებდა „ძველ ტურფას“ „ხალათის ძილისაგან“...

მართალია, ზოგნი პნატობდნენ „მკვდარივით მძინარის“ სიკვდილს, მაგრამ დედის „თავსმდგომმა“ „ქირისუფალმა“ საქვეყნოდ გამოაცხადა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს... ბევრის ბრძოლის დამაღლულსა ეკისრება მოხვედრა“...

მაშ, დასცხრით, ორგულნო, და იშვებდით, მოყვანო: „გულსა ხწამს და კეკუსს სჭერა, რომ ჭერ კიდევ არ გამქარალა მომავლის ბედისწერა“...

ამ მომავლის ბედისწერის მოლოდინში დაუტყრომელმა მუშაკმა „ცხოვრების გზა გალია“ და „სი-

ტბოლედა მწარე მეტი დალია“. თანამგზავრ შეკვდა „მწუხარება და კირო“, მაგრამ, იტყვის, „სულ ვიციანი, არ ვხტიარ“...

იციონდა, იშვებდა, განიხარებდა მისთვის, რომ „იხილა უცხო სიზმარი“, „ნახა, რომ ქვეყნად ჩამოსულიყო ნინო, ქეთევან და თვით თამარი“, „ზეცად აღეპურათ ხამთავეს ხელი“ და „ავდერებდნენ“ „დედასა ღვთისას“ ჩვენს საქართველოს „დიდებინახულსა“...

საოცარი ხანაბობით ნუგეშინისცემულს ერის მესხადულმელს დარდ დავუქარწყვლა, „გულს იმედ დავხახა“ და აღარ „ტიროდა“... არც ჩვენ შეგვცდრის, საყვარელნო, ტირილი ფახდაუდებლის ცხედრის, წინაშე: თუმც თვით გეოხანი ვერ მოეხსრო, მართალი სვიმონივით, მაცხოვარების ხილვას, მაგრამ დედის ხალმობათა არ დავიწყება მან გულს ჩაუნერგა მთელს ქართველობას და შემოიკრია იგი გარემოსთვის, ვითარცა ახალწერგნი ზეთისხილისანი (ფსალმ. 127,4)...

ეს კი „წინამორბედის“ „ანგელოზო გულნის საგალოლის“ აღსრულებობა:

„მოეც კურთხევა ზეცით მალალო, და გარდმოსახე ძლიერად, ჭვარი, რომ აღადგინო ქართველთა ერი, დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი“...
იყავნი იყავნი
1915. II. I

წინამდებარე სიტყვების ავტორია — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1866-1952) — ეროვნული კულტურისა და განათლების დედაწამული მსახური იყო. ფართო საზოგადოებისათვის დღემდე არ არის ცნობილი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი — მდიდარი და მრავალფეროვანი. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ძირფსვიანი და იცნობდა საკუთარ სამწყსოს — მის წარწულა თუ აწმყოს და, ფუნდამენტური განათლების წყალობით, შექმნიდა წვლილი ხალხის სულიერი, გონებრივი და ესთეტიკური წარმატების საქმეში. მას პირადი ნაციონობა ჰქონდა მეცნიერების თუ ხელოვნების იმდროინდელ წარმომადგენლებთან და ყურადღების მიღმა არ ტოვებდა მათი მოღვაწეობის გზაზე არცერთ თვალსაჩინო ნაბიჯს. ამას, მრავალ სხვა დოკუმენტთან ერთად, ცხადყოფს ეპიტაფიები, — დეკანოზობის დროს ქაშვეთის ეკლესიაში ამა თუ იმ გამოჩენილი პირის დაქრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები. მათში მოკლედ და ამომწურავადაა წარმოჩენილი მიცვალებულის დამახასიათებელი ოცნებები და სულიერება. მათი დედები დატულია ქ. კამელოის სხ. ზელნაწერათა ინსტიტუტში (კპ კალისტრატე ცინცაძის პირად საარქივო ფონდში).

ნუგზარ კაკაუაშვილი.

(დასასრული)

ლო, ერთნაირად თათრად მიან-
დათ. ასევე, ერთნაირად ფრანგ-
ხალ იწოდებოდნენ ევროპელები-
ცა და ქართველი თუ სომეხი კა-
თოლიკეებიც, მონოფიზიტი ქარ-
თველიც სომხად ვაიარებოდა.

თბილისში ქართველ დიდგვარო-
ვანთა სიმრავლეს აღნიშნავდა შა-
რდენიც (იხ. შარდენის მოგზაუ-
რობა, შუა მდგომარეობის
თარგმანი, თბილისი, 1975, გვ-
325).

კვემო უბანში, ჩანს, ქართვე-
ლებს ხომხები სპარბობდნენ. ვა-
ხუშტიც აღნიშნავს: „ციხის გარ-
ეთ უფროს სომეხნი და მცირედ
ქართველნი სახლობენო“, მაგ-
რამ, რაც განსაკუთრებით ნიშან-
დობლივია, მეციხერ ბატონიშვი-
ლის მოწმობით, ეს ხომხები
„ქცევა-წინი“ გაქართველები
ყოფილან (იხ. ქართლის ცხოვ-
რება, IV, თბილისი, 1978, გვ-
388). ცხადია, თბილისში სომეხ-
ბი რიცხობრივად ქართველებზე
მეტო რომ ყოფილიყვნენ, აღარას
ვამბობთ ტურნეფორის თხზულებ-
აში შემოტანილ უაღრესად
გაბეირულ ციფრებზე, მაშინ უკ-
ვე ქცევა-წინ თბილისელ ქარ-
თველებს ექნებოდათ შეცვლი-
ლი და არა სომეხებს. ისტორიულ
საბუთები და ქართული წყარო-
ები სრული დამაჯერებლობით
გვიდასტურებენ XVIII საუკუ-
ნის დამდეგის თბილისში ქართულ
მოსახლეობის რიცხვობრივ
უპირატესობას.

როგორც ვხედავთ, XVIII სა-
უკუნის დამდეგის თბილისის მო-
სახლეობის თინიკური შემადგე-
ნლობის დასადგენად, ისევე რო-
გორც თბილისის ეკლესიების კო-
ნფესიური კუთვნილების გასარკ-
ვევად, ტურნეფორის ცნობები
ანგარიშგასაწევი არ არის და ამ
მხრივ მათ არავითარი ღრებულე-
ება არ გააჩნიათ. მაგრამ ასეთი
კურორული ცნობების მოხვედრ-
ა ფრანგი მეციხერ-ბატონიშვი-
ლის თხზულებაში თავისთავად
საგულისხმოა და ახსნას მოითხო-
ვს.

არა ვგვიჩინა ძნელი იყოს იმ-
ის აღიარება, თუ რა მიზანს უნ-
და ისახავდეს აღნიშნული ინ-
ფორმაციის წყაროს ავტორი, რო-
ცა ახე დუიანებით ცდილობს ფა-
ქტების ვანსაზღვრობის მიმარ-
თულით შეცვლას. რამდენა-
დაც განიხილოთ სპირიტუა და არ-
სობობა ფაქტების ვადკრებებ-
ის ტენდენცია, ჩანს, თბილისის
სახალგაოდების რომელიღაც ნა-
წილს ხელს არ აძლევდა ძალთა
არსებული თანფარდობა და მისი
ინტერესები უკვე ისეთ ცვლილე-
ბებს მოითხოვდა, რომელიც შე-
ქმნილ ისტორიულ სიტუ-
აციაში მისთვის უკეთეს
მომავალს უზრუნველყოფდა.



ლილი მოვლენა

თბილისის სახელმწიფო უნივე-
რსიტეტის გამომცემლობამ გამ-
ოსცა დიდი ქართველი მეცნიე-
რისა და პოლიტიკური მოღვაწე-
ის, უბაღლო მამულაშვილის მიხა-
კო წერეთლის მრავალმხრივ მნი-
შვნელოვანი, მეტიც, უმნიშვნე-
ლოვანი ნაშრომი „ერი და კაცობ-
რიობა“ (სოციოლოგიური ანალი-
ზი), რომელიც შედგება წინა-
სიტყვაობის („ერიცხელო საკითხ-
ნი“ და „სოციალიზმი“) და 13 თა-
ვისაგან. აი, ეს თავები: „რა არ-
ის საზოგადოება?“, „არსებობს
თუ არა კაცობრიობა და როგ-
ორ?“, „ერი და საზოგადოება —
კონკრეტული და აბსტრაქტული
ენება“, „საზოგადოება, ერი, სა-
ხელმწიფო“, „ერი“, „სამშობლო“,
„საერთაშორისო სამართალი და
კაცობრიობა“, „ერის უფლება“,
„ერის ღირსება და უპირატესობა“,
„ფონდი კაცობრიობისა“,
„შესაძლებელი მომავალი“, „ერის
თეორიები“, „ქართველი ერი“,
„დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა“.



კარგა ხანია, თამაზ ჩხენკელი იკვლევს ქართული ანბანისა და საერთოდ დამწერლობის გენეზისის საკითხებს. იგი ცდილობს, პრობლემის კვლევა-ძიება ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდოლოგიიდან ლოგიკურ-მათემატიკურ პრინციპებზე გადავიყვანოს. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაბეჭდილია მისი ახალი გამოკვლევა, რომლის პირველ თავში გაანალიზებულია ქართული ასომთავრულის კვადრატული გეომეტრიზმი, მეორეში კი — ქართული ანბანის შექმნის ქართულ-სომხური წყაროების ურთიერთმიმართების საკითხი. თამაზ ჩხენკელის აზრით, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად აუცილებელია ქართული ცნობას („ფარნავაზის ვარიანტი“) მოვუძებნოთ მასში დაშიფრული კოდი. კოდის არსებობა კი სავსებით მოსალოდნელია „ფარნავაზის ვარიანტში“, ვინაიდან ეს ცნობა წარმოდგენილია მითოლოგიურ ასპექტში, რაც ტრადიციულად იძლევა დაშიფვრის მეტ შესაძლებლობას.

ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია განიხილავს საკითხს — ნიმუში და ასლი შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ავტორი თავიდანვე განმარტავს შუა საუკუნეების ხელოვნების სიმბოლურ ასლებს; მცხეთა — ქართული იერუსალიმი. შემდგომ კი მცხეთის ეკრისა და უფლის საფლავის ეკლესიის სიმბოლურ იდენტურობაზე მსჯელობს.

საინტერესოა კახა კაციტაძის სტატია „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ფილოლოგიის ნაშრომისა და პოეტის შემოქმედების შეპირისპირებით ანალიზის მეშვეობით სტატის ავტორი ცხადყოფს, თუ როგორ შემოიჭრა ქართულ რომანტიზმში გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი კონცეფციები.

დემიტრი თუმანიშვილი განიხილავს გერონტი ქიქოძის ერთ კრიტიკულ ნაშრომს, რომელიც ოგიუსტ როდენის შემოქმედებას ეძღვნება.

„თანამედროვე მწერლობის“ რუბრიკით დაბეჭდილია ნაირა გელაშვილის „პერსონაჟების შესახებ“ და ნუგზარ მუშაშვილის „მკაცრი სიმართლე“.

ნაირა გელაშვილი გერმანულ-ენოვანი მწერლის გვი მარგველაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვითხრობს. უცნაურია, ცხოვრობს ქალაქში ღრმა, საინტერესო მწერალი, წერს რომანებს, პიესებს, მოთხრობებს, ლექსებს, მინიატურებს, მაგრამ მითხვებით, თითო-ორჯოც ახლობლის გარდა, არ ჰყავს. თუმცა ეს ტრაგიკული სინამდვილე თავისებურად მიშვიდვლილია, და ამას მხოლოდ ფაქტის უცნაურობა არ განაპირობებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის ძალზე საყურადღებო პასუხები, რომლებიც ბუნებრივად ამოვლილია ნაირა გელაშვილის იგი წერს: „არ ვიცი, კიდევ რამე მინი ხანი გაივლის, ვიდრე მარგველაშვილის საოცარი შემოქმედება — ქართველ საზოგადოებას ქართულ ენაზე მიეწვდება, და როცა ეს მოხდება — ქართველ მკითხველს სიამაყე და ტი-

ვილი ერთად შეუძრავს გულს, რომ ჩვენი უკულმართი სვე-ბედის გამო გერმანული ენის სტიქიაში გადაიდგარა ქართველი კაცის ელვარე ტალანტი, სამხრეთული ტემპერამენტი, იუმორი, და ის ნამდვილად ქართული, თვალშისაცემად ქართული სილამდე — რაც გერმანული ხულისა და პროზისთვის არაა ნიშანდობლივი“.

ეს სიტყვები უფრო აღვივებს ჩვენს სურვილს, რაც შეიძლება ძალიან ვიხილოთ ქართულად თარგმნილი გვი მარგველაშვილის ნაწარმოებები.

როდესაც ისტორიის ავანცანაზე გმირი გამოხულა მას მოლატეც გამოჰყოლია, ანდა პირიქით, მოლატის ავაციობას სხვათა გმირობა მოჰყოლია; ერის არსებობისა და სიჭანხლის უმთავრესი პირობაა ავისა და კარგის აწონ-დაწონვა, ნაკლის აღიარება და მისი აღმოფხვრისათვის ბრძოლა. — ჭეშმალ ქარხნაძის მოთხრობა „რაბათ-ლუხუში“ ხორცშენსმულ ამ კონცეფციას განიხილავს კრიტიკოსი ნუგზარ მუშაშვილი.

მკითხველი უთუოდ დიდი ინტერესით წაიკითხავს „სილუეტების“ რუბრიკით დაბეჭდილ მასალებს, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი პუბლიკაციებით იგი განებივრებული არაა. ლაპარაკია მოგონებათა უანრზე, რომელიც, სამწუხაროდ, კარგა ხანია დავიწყეთ. იმდენად შესანიშნავია ემზარ კვიციანიშვილის მოგონება გურამ

ქართულებისათვის მისი წინააღმდეგობრივი ტექსტები წარმოადგენს მისი „სილუეტების“ მსგავსად, რომელიც მოგვითხრობს უსრულდება, ვინაიდან იგი ნაცნობ თემას შეგვახსენებს. კერძოდ, ეს გახლავთ საკითხი — რით განისაზღვრება მხატვრული სიტყვის ღირებულება? — პათეტიკობით თუ სინადავით? ვფიქრობ, ანდრე უიდი ზუსტ პასუხს იძლევა:

„გულმოდგინე დაკვირვებისას ჩანს, რომ შინაგანი ჭკრების მეშვეობით სიტყვები უდიდეს დატვირთვის იძენენ, რადგან მათი ღირებულება არც გამოშვებითაა, არც უშუალო პათეტიკა, მათი ღირებულება სინადავია“.

რუბრიკით — „არქიტექტურა და მხატვრობა“ ოთხი სტატია დაბეჭდილი.

ვახტანგ ცინცაძე მოგვითხრობს მცხეთის ჭკრის რესტავრაციის ისტორიას და ბოლოს ჩამოთვლის ადგილნი საშუალოა რიგს, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს, თორუმ; ავტორის თქმით, მცხეთის ჭკრის ტაძარს კატასტროფა ემუქრება.

ასმათ ოქროპირიძის კვლევის საგანია ბოქორძის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გამოხატული კტიორის ფიგურის უდენტის ფიგურის საკითხი. გამოხატულება ძალზე დაზიანებულია და ჭირის მისი ამოცნობა, თუმცა საგულდაგულო კვლევის შემდეგ ა. ოქროპირიძე ვარაუდობს, რომ ეს უნდა

პოსტპოსტს არასოდეს დუმს...

ივანე აპირხანაშვილი

პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა თემატიკამ, პუბლიცისტიკამ დღეს აშკარად დაჩრდილია წმინდა ლიტერატურული უანრი, და ამას ბუნებრივად მივიჩნევთ, ვინაიდან კარგად გვახსოვს ერთი ცნობილი გამოთქმის სიბრძნე — როცა ზარბაზანი ქუხს, მაშინ მუშა დუმს. ეს არასახიამოვნო ჭეშმარიტება მართლაც ჩვენ არ გამოგვიცვლია საკუთარ მაგალითზე, როგორც ჩანს, ადამის მოდგმა დიდი ხანია იცნობს მას და, უნდა ითქვას, ძალიანაც სწამს. დღესაც ეს რწმენა გავფიქრებინებს, აი, დასრულდება ეპოქალური რუკები და ლიტერატურა ჩრდილიდან გამოვალ. და ესეც ისევე გვჭერა, როგორც იმ გამოთქმის ჭეშმარიტება.

მაგრამ ბევრისმცოდნე ადამიანები ერთ ასეთ რამეს ამბობენ: მეგეღმა „სულის ფენომენოლოგია“ იმ დამეს დახარულა, როდესაც ნაპოლეონმა პრუსიის ქარი გაანადგურაო. ფრანგების არტილერია ქალაქის გალავანს უშმაგრებს უშენდა, მაგრამ ფილოსოფოსი ისე ღრმად იყო ჩაფლული შრომაში, ჩქამიც არ გაუგონიაო.

თუმცა ამ შემთხვევამ მაინც ვერ შეარყია იმ გამოთქმის ჭეშმარიტება...

ერთიც ვთქვათ. ათინი წლების ბოლოსა და ოციანის დასაწყისში საქართველოში ნაკლები რუკები და ზარბაზნების ცოტა ბათქაბუთი არ ყოფილა, მაგრამ ლიტერატურის მუშა არ დადუმებულა. სწორედ იმ პერიოდში გამოდიოდა წმინდა ლიტერატურული ხსიანის ურნალები „ცისფერი ყანწები“ (რედატორი პაოლო იაშვილი), „მეოცნებე ნიამორები“ (ვალერიან გაფრინდაშვილი), „ილიონი“ (კონსტანტინე გამსახურდია), „კავკასიონი“ (პავლე ინგოროყვა) და სხვ.

წარსულის ეს გამოწაკლისი მაგალითებიც ვერ სძლებს ალბათ იმ საზოგადოებრივ-საზოგადოებრივ-საზოგადოებრივ ურნალებს, მაგრამ რაკილა გამოწაკლისები არსებობს, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ, არსებობენ ის ადამიანებიც, ვისთვისაც მუშა არასოდეს დუმს.

სწორედ ამგვარი გამოწაკლისია ის ძვირფასი რამ, რაც ძნელ

პერიოდებში ისე ინახავს ლიტერატურას, როგორც ფერფლი ნადკერდალს.

და, აი, ჩვენს ხელთაა ჩვენი დროის ახალი „გამონაკლისი“ — უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“. ნომერი პირველი.

ურნალის გამოცემები არიან მართლად ლიტერატურისა და მართლად ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

მთავარი რედაქტორია სარბის ცაიშვილი.

სარედაქციო წინაქმში ვკითხვობთ: „ფართოდ გაგებული აკადემიკოსი, პროფესორული ოსტატობა და მკითხველთან გასაგებებით საუბარი ის უმთავრესი მოთხოვნაა, რომელიცაა სოციალურ უნდა დავძლიოთ ესოდენ მომძლავრებული დიდიტანტიზმი, რაც სიკეთეს არ უქადის ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას. ღმერთმა ქნას, რომ ახალმა ურნალმა ამ მიმართულებითაც შეიტანოს საკუთარი, თუნდაც მცირეოდენი წვლილი“.

ამ სიტყვებს სავსებით ამართლებს ურნალის პირველი ნომერი, რომელშიც წარმოდგენილია დახვეწილი გემოვნებითა და მაღალპროფესიული ადლოთი შერჩეული მასალები.

ურნალი იხსნება რუბრიკით — „ქართული კულტურის ისტორიიდან“. აქ დაბეჭდილია ვახტანგ ბერიძის, თამაზ ჩხენკელის, დავით ხოშტარის, კახა კაციტაძისა და დემიტრი თუმანიშვილის სტატიები.

ვახტანგ ბერიძე განიხილავს XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებას და ამბობს, რომ ამ ეპოქას არ შეუქმნია პრინციპულად ახალი რამ, სამაგეროდ შეემადა ნიადაგი უცხოურ, კერძოდ ირანულ გავლენათა შემოჭრისათვის; ირანული არქიტექტურის გავლენა თვალსაჩინო ყოფილა ქართულსა და კახეთში, უმნიშვნელოდ შესამჩნევია — დასავლეთ საქართველოში. ამასთანავე, დასძენს ავტორი, ეროვნული ტრადიციების სიმტკიცე შეინარჩუნა საეკლესიო ხუროთმოძღვრებამ და გლეხის სახლის არქიტექტურამ.

ნიციის თვალსაწიერიდან იგი ჯერ განიხილავს ცნობილ ძველქართულ სიმბოლურ ასლებს: თბილისის ოთხი ეკლესიის სახელწოდებანი (ახალდაქმნილი ტომონიმიკის სიმბოლური ასლები); მცხეთა — ქართული იერუსალიმი. შემდგომ კი მცხეთის ეკრისა და უფლის საფლავის ეკლესიის სიმბოლურ იდენტურობაზე მსჯელობს.

საინტერესოა კახა კაციტაძის სტატია „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ფილოლოგიის ნაშრომისა და პოეტის შემოქმედების შეპირისპირებით ანალიზის მეშვეობით სტატის ავტორი ცხადყოფს, თუ როგორ შემოიჭრა ქართულ რომანტიზმში გერმანული რომანტიზმის მსოფლმხედველობრივი კონცეფციები.

დემიტრი თუმანიშვილი განიხილავს გერონტი ქიქოძის ერთ კრიტიკულ ნაშრომს, რომელიც ოგიუსტ როდენის შემოქმედებას ეძღვნება.

„თანამედროვე მწერლობის“ რუბრიკით დაბეჭდილია ნაირა გელაშვილის „პერსონაჟების შესახებ“ და ნუგზარ მუშაშვილის „მკაცრი სიმართლე“.

ნაირა გელაშვილი გერმანულ-ენოვანი მწერლის გვი მარგველაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვითხრობს. უცნაურია, ცხოვრობს ქალაქში ღრმა, საინტერესო მწერალი, წერს რომანებს, პიესებს, მოთხრობებს, ლექსებს, მინიატურებს, მაგრამ მითხვებით, თითო-ორჯოც ახლობლის გარდა, არ ჰყავს. თუმცა ეს ტრაგიკული სინამდვილე თავისებურად მიშვიდვლილია, და ამას მხოლოდ ფაქტის უცნაურობა არ განაპირობებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის ძალზე საყურადღებო პასუხები, რომლებიც ბუნებრივად ამოვლილია ნაირა გელაშვილის იგი წერს: „არ ვიცი, კიდევ რამე მინი ხანი გაივლის, ვიდრე მარგველაშვილის საოცარი შემოქმედება — ქართველ საზოგადოებას ქართულ ენაზე მიეწვდება, და როცა ეს მოხდება — ქართველ მკითხველს სიამაყე და ტი-

ასათიანზე, ისეთი სიცხადით იხსენებს ლაღო სულაბერიძე სიმონ ჩიქოვანს, ისე აცოცხლებს რევანს თვარაძე ოტია პაქოვიას და მისი მეგობრების ქალგაზრდობის ეპიზოდს, იმდენ სევდას აქსოვს აქ გარდაცვლილი ილო ბეროშვილი ადამ ბობლიაშვილის გახსენებას და იმდენად გულსხმიერადა დაწერილი თამარ ხუნდაძის ეტიუდი უდროოდ დაღუპული მხატვრის სსო წერეთლის შესახებ, რომ უნებლიეთ გაიფიქრებ, დავიწყებული უანრი ცოცხლდებაო.

აქვე დაბეჭდილი სოლომონ ჭუციშვილის „გამოთხოვება პავლე ინგოროყვასთან“ (ეპიტაფია. 1988 წ. 24 გიორგობისთვე) და ოტია პაქოვიას ჩანაწერები, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ შესანიშნავი ლიტერატორის მახვილ ხედვასა და აზროვნების მათემატიკურ სიზუსტეს. მაგალითისათვის შეიძლება ეს ერთი ჩანაწერიც გამოვადგინო —

„მინდა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ პროზა არა მარტო სტრუქტურაა, პროზა სისტემაა. პროზას ყოველთვის აქვს სქემა. ეს არ არის საშინო... არსებობს ტოლსტოის რომანების სქემა და დოსტოევსკის რომანების სქემა, მაგრამ არსებობს საერთო სისტემა — საერთო ტოლსტოისაჟის და დოსტოევსკისთვის. მათ სისტემას აერთიანებს განცდის გლობალიზაცია, მასშტაბი — დიდებულება (ის, რაც აღარ აქვთ არც ბუნინს, არც ბაბელს, არც კუპრინს. აქ სხვა სისტემასთან გვაქვს საქმე, უფრო სწორად, სისტემის დაქუცმაცებასა და დანაწევრებასთან — რაც ავრთვე ლოგიკური აუცილებლობაა“.

ურნალის მრავალფეროვნებას მატებს საქართველოს ლიტერატურის მუშეუბის ეპისტოლარული ფონდიდან ამოღებული წერილებიც, რომელთა ადრესატები არიან გიორგი რობაქიძე და პავლე ინგოროყვა (პუბლიცისტი ავტორია რუსუდან დაუშვილი).

ანდრე უიდის წერილს „სტეფან მალარმე“ გვაცნობენ სოფიკო ბენდიაშვილი და ნინო ქაჭია, რომლებსაც შესანიშნავად გადმოუ-

იყოს დავით აღმაშენებელი.

რას წარმოადგენს ქართული ავანგარდი, როგორ არსებობს და როგორ ვითარდება? — ამ კითხვებს პასუხობს კარლო კაჭარავა თავის სტატიაში „ქართული ავანგარდი“.

აქვე დაბეჭდილია ერასტ კუხენციულის „ცისფერი ნიკო ფიროსმანაშვილის ხელოვნებაში“ (თარგმნილია მერი კარბელაშვილი).

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველი კარგად იცნობს ოთარ ჩხეიძის შესანიშნავ მოგონება-ეტიუდებს, რომელთა პირველი ნაწილია „სილუეტების“ მკითხველი გიორგი ძველად არსებული პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგ-მასწავლებლები არიან. იშვიათია ისეთი შეგარული, თბილი იუმორი და, ამავე დროს, თანაგრძობა, რასაც ამუღვენებს ავტორი პერსონაჟთა კოლორიტული სახეების შექმნისას.

„ლიტერატურა და ხელოვნება“ გვოვაზობს ოთარ ჩხეიძის ახალ ეტიუდს — „ესტატეს პორტრეტი“.


აკაკი ხინთიბიძე ბესიკის ვერსიციკიას განიხილავს და მიუთითებს იმ გავლენებზე, რაც ქართული სალექსო ფორმის ამ დიდოსტატმა მოახდინა ქართულ პოეზიაზე.

ურნალი ბოლოვდება კახა ჭამბურის წერილით, რომელიც პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ ილიას საიუბილეოდ გამოცემულ კრებულს შეეძება.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ შესანიშნავად გაუფორმებია მხატვარ კარლო ფაჩულიას.

დღეს, დიდი რუკებისა და ქალაქების დევიციტის ეპოქაში, რამდენიც გნებავთ, იმდენ გამოცემას შეხვდებით, ზოგს — საინტერესოს, ზოგს — მოსაწყენს, ზოგსაც — დახადებითვე განწირულს. ცოტა კომპეტენტური, აკადემიური გამოცემა. რას ვიწამებ, ესეც დრომ მოიტანა.

მაგრამ დროს სიკეთეც მოაქვს. — „ლიტერატურა და ხელოვნება“ პირველი ნომერი უხათუოდ ამის დასტურია.



მხოლოდ ორმოცი კაპიკი!

ადამის მოდგმა გაჩენის დღიდან სულიერი და ფიზიკური საზრდელით ვსულდგმულვობთ. ვცდილობთ. ორივე საწყისი თანაბარ ბურჯებად ედგეს ჩვენს არსებობას. მაგრამ ორპირი წუთისოფელი ამას არ გვანებებს. ფიზიკურ საზრდელს რომ თავზე საყრელს გაგვიჩენს. იქვე უმაღლეს სულიერს მოგვაცულებს; ან პირიქით. როცა კი სულიერ საზრდოს უხვად მოგვმადლებს. ფიზიკურის დეფიციტს გაგვიჩენს. ორგემაგე ცხოვრებამ დღეს ისე გავგწირა. ორივე საზრდელი ერთბაშად მოგვაცულო და გავგვიძვირა. როგორც „ქართლის ჭიორის“ ავტორი იტყოდა. მოვიდა დიდი ძვირობა. დრო წახდა სირიფისა. გაძვირდა სწავლა. გაძვირდა წიგნი. გაძვირდა... რაც შეეხება სასურსათო თემას. ამაზე. კარგა ხანია. ირონიული ღიმილით ვსაუბრობო.

სხვა გარემოებებთან ერთად. ირონიულ ღიმილს ასეთი ფაქტებიც იწვევს:
 1 კოლოფი სიგარეტი (ცხადია, უცხოური. სამამულოს სადღა ნახავ) 25 მანეთი.
 1 ბოთლი კონიაკი 28 მანეთი.
 1 ქილა ადამიანური ლუდი — 20 მანეთი.
 მაგრამ, წარმოიდგინეთ. ეს შეჩვეული ირონიული ღიმილი უთუოდ გაქვირვების ღიმილად გაქცევას. როცა ერთ ფაქტსაც შეგახსენებთ
 1 ცალი „ლიტერატურული საქართველო“ ღირს 40 კაპიკი...
 ცხადია. ყველაფერს მიხვდით.
 საკმარისია იგალი დაჯდუკოთ თუნდაც ერთ ქილა ლუდზე. რომ დავზოგოთ ის თანხა. რითაც შევიძინებთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთელი წლის კომპლექტს.
 მას.
 გამოვიწეროთ „ლიტერატურული საქართველო“!

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯავახიძე.

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია**, **ლაშა თაბუკაშვილი**, **ჯუმაარ თითოეზია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდიაძე**, **ნოდარ ნათაძე**, **გურამ ფანჯიკიაძე**, **ოთარ ჩხეიძე**, **თამაზ ჩხენკელი**, **სარგის ტაიშვილი**, **ვივი ქენაბაძე**, **თამაზ წიფიძეაძე**, **თამაზ ზილაძე**.

პასუხისმგებელი მდივანი **ვივი ჯონაძე**

მორივე რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**.



რედაქციის მისამართი:
 380005, თბილისი,
 ვაჟა-ფშაველას
 მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
 მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
 პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
 განყოფილებების — 99-72-89; 99-71-88; 99-08-65. 96-36-68.
 რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
 მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРЛИ
 САКАРТВЕЛО»
 ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
 СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით